აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა 23

3 სექტემბერი 2012 წელი ქ. ბათუმი

**პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის
გაუქმების შესახებ**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 35-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-7 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვადგენ:**

1. გაუქმდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის, საარჩევნო სუბიექტის „სახალხო მოძრაობა“ და მისი წარმომადგენლის ნუნუ სანიკიძის საარჩევნო რეგისტრაცია.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე